საქმე №3/130-15

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
(საქართველოს სახელით)
საჯარო შეტყობინების შესახებ

24 აგვისტო 2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლო
მოსამართლე დავით ნარიმანიშვილი

შუამდგომლობის წარმომდგენი - შემოსავლების სამსახური;

წარმომადგენელი - მარიამ გიუნაშვილი;

გადასახადის გადამხდელი - ი.მ. "ნოდარ გოჩიაშვილი";

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გადასახადის გადამხდელისათვის განჩინების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მომართა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა და მოითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის ბრძანებაში არსებული უსწორობის გასწორება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინებით ბრძანებაში არსებული უსწორობა გასწორდა.

გადასახადის გადამხდელს - ი.მ. „ნოდარ გოჩიაშვილს" ორჯერ გაეგზავნა განჩინება, მაგრამ ვერ ჩაბარდა. კურიერის განმარტებით ადრესატის მოძიება ვერ მოხერხდა, რადგან მეზობლების განმარტებით იგი აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

სასამართლო თვლის, რომ ნოდარ გოჩიაშვილს განჩინების შესახებ უნდა ეცნობის საჯარო შეტყობინების გზით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილით, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილით, ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით დადგენილი წესები არ ვრცელდება ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებზე, ასევე პატიმრობაში მყოფ იმ პირებზე, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების) გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.”

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ი.მ. „ნოდარ გოჩიაშვილის“ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის განჩინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მას გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინების შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ი.მ. ნოდარ გოჩიაშვილს (ს.ნ. 13001030700) საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გასწორდეს ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე N3/130-15 გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად წინადადებისა - „ღია აუქციონის წესით რეალიზებულ იქნას გადასახადის გადამხდელის - ი.მ. "ნოდარ გოჩიაშვილის" 2014 წლის 27 თებერვალს შემოსავლების სამსახურის მიერ 2015 წლის 10 თებერვლის ბრძანების №042-3 საფუძველზე შედგენილი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტი №1-ით ყადაღადადებული ქონება", მიეთითოს შემდეგი წინადადება - „ღია აუქციონის წესით რეალიზებულ იქნას გადასახადის გადამხდელის - ი.მ. "ნოდარ გოჩიაშვილის" 2015 წლის 17 და 27 თებერვალს შემოსავლების სამსახურის მიერ 2015 წლის 10 თებერვლის ბრძანების №042-3 საფუძველზე შედგენილი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტი №1-ით და N2-ით ყადაღადადებული ქონება".

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში, მხარეთათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, (მდებარე ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა) გურჯაანის რაიონული სასამართლოს მეშვეობით, (მდებარე ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა N24)"

2. განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე და სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე. სასამართლოს შეტყობინება ი.მ. „ნოდარ გოჩიაშვილისთვის" ჩაბარებულად ეთვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე: **დავით ნარიმანიშვილი**